

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა კომისიის  
სხდომის ოქმი N5

2023 წლის 28 თებერვალს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთ სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მანანა ჭანია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია. ასევე ესწრებოდნენ: გიორგი დარსალია, ომარ ქარდავა, ეკა სამუშია, მაია მიქავა.

დაწყების დრო: 11:00-სთ.

დასრულების დრო: 11:10-სთ

დღის წესრიგი:

1.ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

პროექტის წარმომდგენელ: თამარ კვარაცხელია, ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის დირექტორი

მოისმინეს 1. ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიში წარმოადგინა ცენტრის დირექტორმა თამარ კვარაცხელიამ. (ანგარიში თნ ერთვის).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2022 წელს აქტიურად ახორციელებდა დებულებით გათვალისწინებულ საქმიანობას. ეპიდსიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდა და ეპიდაფეთქებას ან რომელიმე ინფექციური დაავადების მატებას ამ პერიოდში ადგილი არ ჰქონია. მომხსენებელს კითხვა დაუსვა სხდომის თავმჯდომარე რაისა ჩანგელიამ, თუ რა შედეგი მოჰყვა გეგმიურ მონიტორინგს საბავშვო ბაღებსა და სილამაზის სალონებში. რაზეც ცენტრის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ მონიტორინგის შემოწმებისას ობიექტების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ რიგ შემთხვევაში თავი იჩინა პრობლემებმაც, საბავშვო ბაღების უმეტესობას ესაჭიროება სამზარეულო ჭურჭლის, თეთრეულის, რბილი და მაგარი ინვენტარის შევსება. მონიტორინგით გამოვლენილი შედეგები კი ეცნობა

წერილობით შესაბამის სამსახურს. რაც შეეხება სილამაზის სალონებს, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა შემოწმების პერიოდში იყო დამაკმაყოფილებელი.

კომისიის წევრებმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

რაისა ჩანგელია

